



◀ უკან დაბრუნება

საგარეჭოს მუნიციპალიტეტის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის პროცესიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ

დოკუმენტის ნომერი	8
დოკუმენტის მიმღები	საგარეჭოს მუნიციპალიტეტი
მიღების თარიღი	25/03/2016
დოკუმენტის ტიპი	მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება
გამოქვეყნების წყარო, თარიღი	ვებგვერდი, 30/03/2016
სარეგისტრაციო კოდი	010250050.35.165.016242
კონსოლიდირებული პუბლიკაციები	30/03/2016



ყურადღებით! თქვენ ეცნობით არა საბოლოო რედაქციას. საბოლოო რედაქციის გასაცნობად აირჩიეთ შესაბამისი კონსოლიდირებული ვერსია.

პირველადი სახე (30/03/2016 - 26/08/2016)

### საგარეჭოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8  
2016 წლის 25 მარტი

ქ. საგარეჭო

საგარეჭოს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ები)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროცესიულად გამოქვეყნების წესის და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>1</sup> მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის საფუძველზე, საგარეჭოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს „საგარეჭოს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ები)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროცესიულად გამოქვეყნების წესი“, დანართი №1-ის შესაბამისად.

#### მუხლი 2

დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი დანართი №2-ის შესაბამისად.

#### მუხლი 3

დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ფორმა, დანართი №3-ის შესაბამისად.

#### მუხლი 4

- ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგებელს უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ები)ის საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროცესიულად გამოქვეყნებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებების გეგმის შემუშავება, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში.
- ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ები)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროცესიულად გამოქვეყნებისთვის საჭირო ტექნიკური და პროგრამული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში.

#### მუხლი 5

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს დადგენილება „საჯარო ინფორმაციის პროექტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჭოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ნოემბრის №45 დადგენილება.

#### მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საგარეჭოს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ფრიდონ ბურდული

დანართი №1

საგარეჭოს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროექტიულად გამოქვეყნების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- „მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროექტიულად გამოქვეყნების წესი“ (შემდგომ – წესი) განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის (შემდგომ – მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები) მიერ საჯარო ინფორმაციის პროექტიულად გამოქვეყნების წესს, ფორმას და ადგილს.
- ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28- ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციაზე.

3. საჯარო ინფორმაციის პროექტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობით, რეგულირდება ამ წესით.

#### მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის პროექტიულად გამოქვეყნების ფორმა და წესი

1. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია პროექტიულად ქვეყნდება როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით.
2. პროექტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია წებისმიერი პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დაუშვებელია პროექტიულად გამოქვეყნებულ საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან/და წებისმიერი სხვა შეზღუდვის დადგენა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეთხვევებისა.
3. საჯარო ინფორმაციის პროექტიულად გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით იმავე ან/და სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან.
4. საჯარო ინფორმაციის პროექტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროექტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

#### მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის პროექტიულად გამოქვეყნების ადგილი

1. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები უზრუნველყოფენ საჯარო ინფორმაციის პროექტიულად გამოქვეყნებას ამ მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებით დადგენილი წესით:
  - ა) ელექტრონული ფორმით – მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების ელექტრონულ რესურსზე;
  - ბ) ან ბეჭდური ფორმით – მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში განთავსებულ საჯარო განცხადებების დაფაზე.
2. ელექტრონული ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე ან/და მათ მართვაში არსებული სხვა ელექტრონული რესურსების გამოყენებით (მიეთითება მუნიციპალიტეტის ელექტრონული რესურსების დასახელება ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. ბეჭდური ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების შენობებში სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბეჭდური ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება საჯარო განცხადებების დაფების გამოყენებით, რომელიც უნდა განთავსდეს დასახლებების უნდების მიხედვით, უბანში რეგისტრირებულ ყოველ 500 ამომრჩეველზე არანაკლებ ერთი საინფორმაციო განცხადების დაფის ოდენობით.

4. მუნიციპალიტეტის დასახლებებში საინფორმაციო განცხადების დაფაზე ინფორმაციის განახლებაზე პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროექტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ინფორმაციის განახლებას უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებებში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის მეშვეობით.

5. იმ შემთხვევაში, თუ პროექტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია დიდი მოცულობისაა და მისი სრულად გამოქვეყნება ვერ ხერხდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების და იურიდიული პირ(ებ)ის შენობებში სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას ან/და მუნიციპალიტეტის დასახლებებში საინფორმაციო განცხადების

დაფებზე, აუცილებელია აღნიშნულ ადგილებში მიეთითოს დოკუმენტის შესაბამისი რეკვიზიტები (სათაური, მიმღები ორგანო, მიღების თარიღი, დოკუმენტის ნომერი) და ადგილი, სადაც შესაძლებელია დოკუმენტის სრული ვერსიის გაცნობა და ასლის გადაღება.

#### მუხლი 4. საჯარო ინფორმაციის პროექტიულად გამოქვეყნების სტანდარტი

1. მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან უზრუნველყონ პროექტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. აღნიშნული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს მისი განახლების თარიღი.

2. პროექტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება.

დანართი №2

### საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულება

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი განსაზღვრავს არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესს და ფორმას.

#### მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. საჯარო ინფორმაცია შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა მხარემ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი წესით და ვადებში.
2. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული მხარის მიერ განცხადებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე გაგზავნით ან მისივე მოთხოვნით კომპაქტურ დისკზე ჩაწერით.
3. თუ დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაგზავნა მისი მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია გაგზავნილ იქნეს ელექტრონულად, მაშინ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი იტოვებს უფლებას მხარის თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს მისი კომპაქტურ დისკზე ჩაწერა და მხარეს გადაახდევინოს თანხა „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული ოდენობით.

#### მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად ან წერილობითი ფორმით მიღებით დაინტერესებულმა მხარემ, ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე უნდა ნარადგინოს წერილობითი განცხადება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის თანხლებით ფიზიკური პირების შემთხვევაში, ხოლო იურიდიული პირების შემთხვევაში, იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ნარმომადგენლობითი უფლებამოსილების ქონის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები. აღნიშნული განცხადება უნდა დარეგისტრირდეს საგარეჭოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სამსახურსა და საგარეჭოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ან/და გაიგზავნოს მოთხოვნა ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე – sagarejo-gamgeoba@hotmail.com და sagarejo-sakrebuli@hotmail.com გემოთ ჩამოთვლილ განცხადებასთან თანდართული დასკანერებული დოკუმენტების თანხლებით, თანდართულო ფორმის შესაბამისად (დანართი №3).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესების დარღვევით ნარდგენილი განცხადება დაინტერესებულ მხარეს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### მუხლი 4. საჯარო ინფორმაციისათვის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება

1. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არ გადაიხდევინება:
  - ა) ინფორმაციის ჩაწერისას ინფორმაციის მომთხოვნის დისკებაზე ან კომპაქტურ დისკზე;
  - ბ) საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფოსტით გაგზავნისას;
  - გ) ფიზიკური პირებისათვის საჯარო დაწესებულებაში მათზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას.
2. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

#### მუხლი 5. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურები და ვადები

1. საგარეჭოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საგარეჭოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული ელ-განცხადება რეგისტრირდება და შემდგომში შესაბამის განცხადებაზე რეაგირება დავადგენება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და პროექტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირს (პირებს), რომელთა კომპეტენციასაც წარმოადგენს მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადება.
2. ელექტრონულად მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება/მომზადების შემდგომ, აღნიშნული ინფორმაცია

„საქართველოს მოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი ვადების დაცვით  
ელექტრონულად ეცნობება განმცხადებელს.

3. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს საქართველოს მოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით.

4. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო ვადები აითვლება საგარეჭოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისნარმოების განყოფილებაში ოფიციალურად რეგისტრაციის მომენტიდან.

### დანართი №3

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ

პირს/პირებს -----

მოქალაქე-----

მცხოვრები -----

ტელ/მობ -----

განცხადება

გთხოვთ, „საქართველოს მოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-40 მუხლის საფუძველზე, მოგვაწოდოთ

ინფორმაცია ელექტრონული სახით

/მოთხოვნილი ინფორმაციის დასახულება/

ასევე გთხოვთ:

1. მოთხოვნილი ინფორმაცია გადმოგვცეთ ქვემოთ მითითებული ელ. ფოსტის მისამართზე გადმოგზავნით

2. მოთხოვნილი ინფორმაცია ნაგვინეროთ კომპაქტურ დისტერ და თანხმობას ვაცხადებთ გადავისადოთ თანხა „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული ოდენობით.

3. მოთხოვნილი ინფორმაცია გადმოგვცებაზნოთ წერილობითი ფორმით, ქსეროასლების სახით ან ამოგვიბეჭდოთ პრინტერზე, თანხმობას ვაცხადებთ, გადავისადოთ თანხა „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული ოდენობით.

შენიშვნა: მონიშნეთ თქვენთვის მისაღები ფორმა

დაინტერესებული პირი /განცხადებელი/ .....

თარიღი: .....-.....-.....

3. 14/09/2018 - მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება - 58 - ვებგვერდი, 19/09/2018

2. 30/07/2018 - მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება - 45 - ვებგვერდი, 07/08/2018

1. 26/08/2016 - მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება - 18 - ვებგვერდი, 29/08/2016

#### უკუკავშირი

სსიპ "საქართველოს საპარმონდებლო მაცხო" 2010-2018, ყველა უფლება დაცულია.



ონლაინ

დარგულისავებულის AzBy@LTD-ს მიერ  
კონფიდენციალური